ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №20

ქალაქი ქუთაისი

18 ოქტომბერი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
5. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
6. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;
7. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
8. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
9. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
10. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
11. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
12. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
13. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
14. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 14, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 8 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიგა ხარებავა - GEPRA წარმომადგენელი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

მე-20 სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - 10 მაღალი ქულის მქონე გამოვლენილი პროექტის წარდგენა და საბჭოს მიერ მიღება.
4. 2020 წლისთვის ინიციატივების შეფასების წესის განხილვა - მომხსენებელი GEPRA-ს წარმომადგენელი.
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

2.ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - 10 მაღალი ქულის მქონე გამოვლენილი პროექტის წარდგენა და საბჭოს მიერ მიღება.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) -volis.kutaisi.gov.ge -ზე დარეგისტრირებულია 90 ინიციატივა, გამეორებების გამოკლებით სულ ორიგინალი ინიციატივის რაოდენობა შეადგენდა 87; მერიის კომპეტენციას ვერ პასუხობდა 8 ინიციატივა, ხოლო მერიას 2020 წლისთვის გათვალისწინებული უკვე აქვს 14 ინიციატივის მსგავსი ღონისძიებების დაფინანსება. მრჩეველთა საბჭოს შეფასებისთვის საბოლოოდ გადაეგზავნა 66 ინიციატივა, სადაც 1 ინიციატივა დაემატა განხილვას (რომელიც მოქალაქემ შეიტანა მერის სახელზე) და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეფასებისთვის გადაეცა 67 ინიციატივა. 22 წევრიდან 16 წევრმა შეაფასა, სამი კომპონენტის მიხედვით: 1. მდგრადობა; 2. აქტუალობა; 3. კრეატიულობა. გამოვლინდა 10 ყველაზე მაღალი ქულის მქონე ინიციატივა.

იხილეთ დანართად 1.

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 14 წევრი
მომხრე: 14 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი.

დადგინდა:

საბჭომ დაამტკიცა 10 ყველაზე მაღალი ქულის მქონე სამოქალაქო ინიციატივა და გადასცა ადგილობრივ თვითმმართველობას volis.kutaisi.gov.ge საჯარო კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად.

3. 2020 წლისთვის ინიციატივების შეფასების წესის განხილვა.

საბჭომ მოუსმინა GEPRA-ს წარმომადგენელს გიგა ხარებავას, რომელმაც გააცნოს წევრებს შეფასების დოკუმენტის ასლები. (დოკუმენტი იხილეთ დანართად). აქვე საბჭომ იმსჯელა მიმდინარე კონკურსის შეფასების კრიტერიუმებზე.
დანართი 2.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, თემურ ამყოლაძე, მაია ყუფარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხხუხუა, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე.
საბჭოს წევრებმა სთხოვეს GEPRA-ს წარმოამადგენელს გიგა ხარებავას, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით გადაამუშავოს დოკუმენტის პროექტი და გადმოუგზავნოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე დასამტკიცებლად.

დაადგინეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21-ე სხდომა გაიმართოს 31 ოქტომბერს 14:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე